

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #18

ქ. თბილისი

2022 წელი, 6 ოქტომბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ზაზა თავაძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: მამუკა გუგუშაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტაძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032227789-03 -04.10.2022)

2.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322252138-03 09.09.2022; №12-03222551-03 12.09.2022; №12-03222586-03 15.09.2022; №12-032226571-03 22.09.2022; №12-03222655-03 22.09.2022; №12-03222724-03 29.06.2022; №12-0322272131-03 29.06.2022; №12-0322278103-03 - 05.10.2022; №12-0322278111-03 -05.10.2022)
3.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322278107-03 -05.10.2022)
4.	ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წმინდაწყლის ქუჩა №1, №9, №11, №13, №15, №17, 17-ა-ში ლისზე, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებსა ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ავთანდილის ქუჩა, №72, №70, №74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.09.762, №72.16.09.761, №72.16.09.715, №72.16.09.700, №72.16.09.698, №72.16.09.849, №72.16.09.848, №72.16.09.850, №72.16.09.165, №72.16.09.845, №72.16.09.681, №72.16.09.710, №72.16.09.653, №72.16.09.655, №72.16.09.697, №72.16.27.059, №72.16.27.146, №72.16.27.145, №72.16.27.144, №72.16.27.005) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032225520-03 12.09.2022)
5.	ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2; ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/081) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.06.008.089; №01.14.06.008.349; №01.14.06.008.350) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032226628-03 23.09.2022)
6.	ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, №12; №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.499; № 72.16.23.500) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032226912-03 26.09.2022)
7.	„ქ. თბილისში, ვაკე - საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032225517-03 12.09.2022)

8.	<p>„ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებისIV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.014.174; №01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის №255 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032225518-03 12.09.2022)</p>
9.	<p>ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის №1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032225549-03 12.09.2022)</p>
10.	<p>ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №10 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის №54 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032226629-03 23.09.2022)</p>
11.	<p>„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულიას ქ. №3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.18.09.004.048) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს № 262 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულიას ქ. №3, №3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.18.09.004.086) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის №96 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032227330-03 30.09.2022)</p>

12.	ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, №32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა №6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა №10-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი მარშალ გელოვანის გამზირი №6; №6-ის მიმდებარედ (ნაკვეთი №2072) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.10.10.022.331; №01.10.10.022.336-ის ნაწილი; №01.10.10.022.116) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისდამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0322269231-03 26.09.2022)
13.	ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, №39; №41; №43; №45 და №47-შიარსებულ მიწის ნაკვეთებს(საკადასტრო კოდები: №72.16.23.461; №72.16.23.462; №72.16.23.463; №72.16.23.464; №72.16.23.460) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03222691-03 26.09.2022)
14.	ქალაქ თბილისში, ნავთლუდის ქუჩა №8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე(საკადასტრო კოდები: №01.17.12.023.070; №01.17.12.027.045; №01.17.12.023.082; №01.17.12.023.083; №01.17.12.023.075; №01.17.12.023.077; №01.17.12.023.078; №01.17.12.023.074; №01.17.12.023.073; №01.17.12.023.079; №01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისდამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032225841-03 15.09.2022)
15.	ქალაქ თბილისში,სოფელ დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.08.31.544, №81.08.31.581, №81.08.31.511) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032227329-03 30.09.2022)
16.	ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.176; №01.72.14.009.639; №01.72.14.009.659) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისდამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032227333-03 30.09.2022)
17.	„ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. №5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა №62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი №2-ში, ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.18.06.015.162; №01.18.06.015.189; №01.18.06.015.159; №01.18.06.015.084; №01.18.06.015.237; №01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს №375 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03222576-03 14.09.2022)

18.	<p>ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041) , არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე”(საკრებულოს №12-0322278113-03 -05.10.2022)</p>
19.	<p>ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.089) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0322278112-03 -05.10.2022)</p>
20.	<p>ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.504; N72.16.23.216; N72.16.23.863) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0322278109-03 -05.10.2022)</p>
21.	<p>ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში №01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 24 205 კვ.მ.) სასწავლო-სპორტული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N150 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032224919-03 - 06.09.2022)</p>
22.	<p>ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, №13; №15ა; №23ა; №21ა; №17ა; №16; №41; №39; №20; №18; №12; №10; №23; №25; №14; №21; №15; №19; №17-ში; ქალაქი თბილისი, დილომი; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, №41; №39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.230; №01.72.14.014.858; №01.72.14.014.626; №01.72.14.014.629; №01.72.14.014.704; №01.72.14.014.264; №01.72.14.014.942; №01.72.14.014.242; №01.72.14.014.438; №01.72.14.014.816; №01.72.14.014.219; №01.72.14.014.339; №01.72.14.014.232; №01.72.14.014.225; №01.72.14.014.222; №01.72.14.014.262; №01.72.14.014.738; №01.72.14.014.987; №01.72.14.014.220; №01.72.14.014.677; №01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032224918-03 06.09.2022)</p>

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032227789-03 - 04.10.2022)

პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი 43 095,6 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის N04-03/68504 წერილი), გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები – 31 750,0 ათასი ლარით (იზრდება კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 65 000,0 ათასი ლარით, მცირდება სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 33 250,0 ათასი ლარით, (საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილება)), არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 30 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 104 845,6 ათასი ლარით და შეადგენს 1 559 866,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 700,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა- შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 708,2 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 800,0 ათასი ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) – 8 186,2 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 99 007,9 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნება - 2 805,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 2 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნამალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 350,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 350,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 700,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 500,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება - 1 020,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 23 657,4 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება - 328,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნამალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) ქვეპროგრამის ასიგნება - 250,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების

განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 700,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 200,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 150,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 100,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 1 600,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 1 100,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 660,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) - 20,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) - 91,8 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლაპატრონობა (კოდი 06 02 21) - 18,6 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 270,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 200,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება - 1 400,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 564,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 150,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნება - 2 000,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 177,3 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 153,0 ათასი ლარი. მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 177,3 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 01 02) - 19 035,9 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება - 4 700,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) - 18 506,2 ათასი ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 9 093,8 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნება - 203,8 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 38,2 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 25,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება - 46,3 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 40,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) ქვეპროგრამის ასიგნება - 153,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 500,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) - 18,6 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 514,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) - 20,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) პროგრამის ასიგნება - 275,3 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 479,4 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 3 131,8 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის

მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 999,9 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 113,8 ათასი ლარი. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომუშავეთა რიცხოვნობა 7 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად შეადგენს 4 058 ერთეულს. პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 485 087,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 379 987,1 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 840 965,0 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 214 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 20 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი - 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი - 590 965,0 ათასი ლარი. გრანტები 302 653,8 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,3 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი; - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 290 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 10 250,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 236 368,3 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან - 11 810,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 50 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 65 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები - 39 536,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 559 866,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 213 090,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 333 766,2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 13 010,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 166 896,7 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 228 766,2 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 333 766,2 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება - 105 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (74 879,5) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება - 74 879,5 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 74 779,5 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (13 010,0) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 13 010,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (61 869,5) ათასი ლარით. საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ნინო წულაძემ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ([საკრებულოს №12-0322252138-03 09.09.2022](#); [№12-03222551-03 12.09.2022](#); [№12-03222586-03 15.09.2022](#); [№12-032226571-03](#)

[22.09.2022; №12-03222655-03 22.09.2022; №12-03222724-03 29.06.2022; №12-0322272131-03 29.06.2022; №12-0322278103-03 -05.10.2022; №12-0322278111-03 -05.10.2022\)](#)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით ([საკრებულოს №12-0322252138-03 09.09.2022; №12-03222551-03 12.09.2022; №12-03222586-03 15.09.2022; №12-032226571-03 22.09.2022; №12-03222655-03 22.09.2022; №12-03222724-03 29.06.2022; №12-0322272131-03 29.06.2022; №12-0322278103-03 -05.10.2022; №12-0322278111-03 - 05.10.2022](#)) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 35 წინადადება და პროექტში შესატანი ცალკეული ცვლილებები, კერძოდ:

[№12-0322252138-03 09.09.2022;](#)

ა) ქალაქ თბილისში, ფანასკერტელის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.16.004.305) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის N01222431992 წერილის მიხედვით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ფრაგმენტული ცვლილებისგან თავის არიდებისა და მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე, კერძოდ, N01.10.16.004.304 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფანასკერტელის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.16.004.305; N01.10.16.004.304-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2);

ბ) ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე N36-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.002.065) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-

1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს N01.14.08.002.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2022 წლის 2 სექტემბრის N01222452843წერილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული განცხადებაში წარმოდგენილი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე N36-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.002.065) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ს დასახლება, ნეკრესისქუჩა N43; მცხეთა, გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.12.511) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 5 სექტემბრის N01222483612წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.12.511) ძირითადი რუკის ზონირებით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ასევე, ვრცელდებოდა, საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში N72.13.12.511 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალი. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალი იხსნება N72.13.12.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი 2-ს დასახლება, ნეკრესისქუჩა N43; მცხეთა, გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.12.511) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.125) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 2 სექტემბრის N01222451857წერილის მიხედვით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.125) ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში N01.15.07.017.125 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) იცვლება N01.15.07.017.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედაც. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.125) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ე) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.023, N01.20.01.126.022, N01.20.01.126.021) ნაწილზე და მიმდებარე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 2 სექტემბრის N16-01222452875წერილის მიხედვით, განსახილველ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დიდი ნაწილი გავრცელებულია ფაქტობრივ ღობეებზე და აღნიშნულ ტერიტორიას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. საპროექტო არეალსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება N01.20.01.126.023, N01.20.01.126.022, N01.20.01.126.021 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.023, N01.20.01.126.022, N01.20.01.126.021) ნაწილზე და მიმდებარე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

№12-03222551-03 12.09.2022;

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N22.75.91 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში აბაშვილის ქუჩა, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.171, N01.19.19.005.210, N01.19.19.005.209, N01.19.19.005.207, N01.19.19.005.176, N01.19.19.005.061) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აბაშვილის ქ. N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.225) ფუნქციური ზონის ცვლილებას, შემდგომში როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილ განსაკარგავ უძრავ ქონებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N22.75.91 განკარგულებაში და სარეზოლუციო ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ)ქალაქ თბილისში აბაშვილის ქუჩა, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.219, N01.19.19.005.225, N01.19.19.005.223, N01.19.19.005.210, N01.19.19.005.209, N01.19.19.005.176, N01.19.19.005.061, N01.19.19.005.227, N01.19.19.005.178, N01.19.19.005.208, N01.19.19.005.160, N01.19.19.005.162, N01.19.19.005.050, N01.19.19.005.016, N01.19.19.005.070, N01.19.19.005.110, N01.19.19.005.052, N01.19.19.005.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა1-ის (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა“

№12-03222586-03 15.09.2022;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.08.326) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 9 სექტემბრის N01222521073 წერილით, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ფენა (რზ). ამასთან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ისევე როგორც, მომიჯნავედ არსებულ რეგისტრაციებზე „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ფრაგმენტული ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ფუნქციური ზონის ცვლილება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.08.326) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სერგო გუჯეჯიანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.179) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. N01.19.26.004.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). შესაბამისად ტერიტორია ჩამოყალიბებულია დაბალი განაშენიანებით. განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ხორციელდება მიდებარე N01.19.26.004.251, N01.19.26.004.253, N01.19.26.004.271, N01.19.26.004.272, N01.19.26.004.162, N01.19.26.004.239, N01.19.26.003.682, N01.19.23.003.031, N01.19.26.003.041, N01.19.26.003.008, N01.19.26.003.020 და N01.19.26.003.039 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სერგო გუჯეჯიანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.179, N01.19.26.004.251, N01.19.26.004.253, N01.19.26.004.271, N01.19.26.004.272, N01.19.26.004.162, N01.19.26.004.239, N01.19.26.003.682, N01.19.23.003.031, N01.19.26.003.041, N01.19.26.003.008, N01.19.26.003.020, N01.19.26.003.039) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.58.036.001; N01.72.58.011.004; N01.72.58.011.001; N72.16.28.231) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატყეო

ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 6 სექტემბრის N01222491136 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთიანი რუკის მონაცემებისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მოწყობილია ფაქტობრივი გზა, რომელიც განსახილველ ტერიტორიაზე გავრცელებულ სატრანსპორტო ზონა 1-თან (ტზ-1) მიმართებაში, წარმოადგენს ალტერნატიულ საგზაო კავშირს. საპროექტო მონაკვეთზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების შემთხვევაში, სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი ქსელის შენარჩუნება შესაძლებელია აღნიშნულ ფაქტობრივი გზის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელებით. ამასთან, მიზანშეწონილია დაკორექტირდეს აგარაკის ქუჩაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ სივრცეზე, ფაქტობრივი გზის ნაწილზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 9 სექტემბრის N01222521019 წერილის მიხედვით თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატყეო ზონის ფენა. ამასთან, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილზე, რომელზეც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია მწვანე ნარგავები, გავრცელდეს შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა. ზემოაღნიშნული ცვლილების ფარგლებში, მიმდებარე არეალზე წარმოქმნილი და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ N72.16.22.249 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სატყეო ზონით ცვლილება და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. ასევე, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილზე, რომელზეც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია მწვანე ნარგავები, გავრცელდება შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა.

მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნა.

დ) ქალაქ თბილისში, სოფელი დიდმის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.086) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. საპროექტო ტერიტორიასა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.086) და მიმდებარე არეალზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). ფრაგმენტული ცვლილებისგან თავის არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ინიციატივით სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზეც, კერძოდ, N01.72.14.094.405; N01.72.14.094.404; N01.72.14.094.960 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 9 სექტემბრის N18-01222521033 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიდმის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.086, N01.72.14.094.405; N01.72.14.094.404; N01.72.14.094.960) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

№12-032226571-03 22.09.2022;

ა) ქალაქ თბილისში, ვანის ქ. N5, N6-ში (ნაკვ 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვანის ქ. N5, N6-ში (ნაკვ 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N441 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა ჩრდილოეთით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება და სამხრეთით სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვანის ქ. N5, N6-ში (ნაკვ 8/5) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.077; N01.13.06.008.006; N01.13.06.008.075) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო არეალს მიღმა სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქ. N14ბ, N12ბ, N14, N16; გორგასლის II შესახვევის N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე

„ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ, N14, N16-ში; ქალაქ თბილისი, გორგასლის II შესახვევის N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N447 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 2 -ით (სზ-2) და სატყეო ზონით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქ. N14ბ, N12ბ, N14, N16; გორგასლის II შესახვევის N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო ტერიტორიის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 2 -ით (სზ-2) და სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.01.005.622, N01.12.01.005.621, N01.12.01.005.623, N01.12.01.005.620) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.129-ის ნაწილი; N01.12.01.005.051; N01.12.01.005.091; ნაკვეთი: N5/50, N5/51, N005/056) მრავალფუნქციური კომპლექსების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N451 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა N01.12.01.005.067 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. შესაბამისად, ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.01.005.622, N01.12.01.005.621, N01.12.01.005.623, N01.12.01.005.620) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და საპროექტო ტერიტორიის მიღმა N01.12.01.005.067 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

